



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 1 21 0001083759



13/10/2021

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №8 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

იურიდიული პირის მიერ 2021 წლის 21 ივნისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წარმოდგენილი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის N608534), პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის (ს/კ: 205390487) „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. ცვლილება განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №8 გადაწყვეტილებაში, კერძოდ ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სსიპ - საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისათვის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ს (ს/კ: 205390487) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი / 00395/ **(დანართი)**.

გ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი)**.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 13 ოქტომბრის №1080886 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროფესიული მომზადების

პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების

მიმნიჭებელი საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროფესიული მომზადების

პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების

მიმნიჭებელი საბჭო

საბჭოს მდივანი

ზაქარეიშვილი მარიკა



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00395	საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. რუსთავი, ზ. ფალიაშვილის №1